ხელშეკრულება

№ 41 / 9

ქ. გორი „10“ თებერვალი 2016 წ.

ააიპ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება (შემდგომში "დამკვეთი") მისი დირექტორის **მანანა ლაცაბიძის** სახით და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო (შემდგომში "დაცვა"), სამმართველოს უფროსის **ზურაბ გულდამაშვილის** სახით, ვდებთ ხელშეკრულებას:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ცენტრალურ დაკვირვების პულტზე პერიმეტრული სიგნალიზაციით მიღებულ განგაშზე სათანადო რეაგირებით, „დაცვა“ უზრუნველყოფს ქ. კასპში, გიორგი სააკაძის ქ. №88-ში მდებარე ააიპ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანებაში (შემდგომში "ობიექტზე") დანაშაულის აღკვეთას; SPV - 79700000

1.2. „ობიექტის“ პერიმეტრის დაცვა განხორციელდება „დამკვეთის“ მიერ „ობიექტის“ დაცვის ცენტრალურ პულტზე ჩაბარებისა და „დაცვის“ მიერ ობიექტის დაცვაში აყვანის შემდეგ.

მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1 დაცვის მომსახურების ღირებულება, დღგ-ს ჩათვლით, თვეში **135,00** (ასოცდათხუთმეტი) ლარია;

2.2 ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს;

2.3 „დაცვის“ მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 **„დაცვა“ ვალდებულია:**

3.1.1 დაცვითი მომსახურების უზრუნველსაყოფად, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით „დამკვეთს“ დროებით სარგებლობაში გადასცეს: **რადიოგადამცემი, რადიოგადამცემის ყუთი, რადიოგადამცემის პლატა** და უზრუნველყოს მათი მონტაჟ-ინსტალაცია;

3.1.2 ცენტრალიზებულ დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) წუთში გამოცხადდეს "ობიექტზე", უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების აცილება-აღკვეთა;

3.1.3 "ობიექტზე" აღმოჩენილი ზარალის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს „დამკვეთს“ და უზრუნველყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

3.1.4 „დამკვეთს'' ფაქტიური ზარალი აუნაზღაუროს სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

3.1.5 ზარალის განსასაზღვრად მონაწილეობა მიიღოს შედარების აქტის შედგენაში, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „დამკვეთის“ საბუღალტრო დოკუმენტაციას და დადასტურებული იყოს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელობის ხელისმოწერით;

3.1.6 სიგნალ "განგაშის" მიღებისას, ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად გამოიძახოს „დამკვეთი“ ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;

3.1.7 დასაცავად არ მიიღოს „ობიექტი“ თუ "დაცვისგან" დამოუკიდებელი მიზეზებით, „ობიექტი“ ცენტრალურ დაკვირვების პულტზე დადგენილი წესით არ ფიქსირდება, რაზედაც მაშინვე უნდა ეცნობოს „დამკვეთს“

3.1.8 იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია "დაცვის" ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა „დამკვეთის“ დაუდევრობამ.

3.2. „დამკვეთი“ ვალდებულია:

3.2.1 „ობიექტის“ დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.2 განგაშის შემთხვევაში, "დაცვას" მისცეს დასაცავი "ობიექტის" გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

3.2.3 უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;

3.2.4 სიგნალიზაციის გაუმართაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს "დაცვას", დაელოდოს "დაცვის" წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;

3.2.5 ელექტროენერგიის ავარიული გამორთვისას, იქონიოს გამართული დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები;

3.2.6 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთრებაა და დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ არის გადაცემული "დამკვეთისათვის") განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანებისას, აანაზღაუროს მიყენებული ზარალი-განსაზღვრული დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის „ბ“ პუნქტით;

3.2.7 უზრუნველყოს მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

3.2.8 მხოლოდ დაცვასთან შეთანხმებით გადასცეს პასუხისმგებელ (ნდობით აღჭურვილ) პირს "ობიექტზე" შესვლის, სიგნალიზაციით სარგებლობისა და ხელშეკრულების 3.2.2, 3.2.3, 3.2.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.9 არ დაუშვას "შემსრულებლის" მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე;

3.2.10 რეკვიზიტების (მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის და ა. შ.) შეცვლისას, დაუყოვნებლივ აცნობოს "დაცვას".

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან მხარეები თავისუფლდებიან კანონით განსაზღვრულ ფორს-მაჟორული შემთხვევისას, როცა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება შეუძლებელია, რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით, ხოლო მის შეწყვეტაზე მოთხოვნის არ არსებობისას, ვადა გრძელდება ყოველწლიურად, იგივე პირობებით.

მუხლი 6. ხელშეკრულების სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა მიერ შედგენილი „ობიექტის“ მოკვლევისა და დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები;

6.2 "დაცვა" უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს დაცვის მომსახურების ტარიფი, რაზედაც ორი კვირით ადრე წერილობით აცნობებს "დამკვეთს". თუ აღნიშნული ვადის გასვლამდე "დაცვამ" არ მიიღო წერილობითი შეტყობინება "დამკვეთისაგან" იმის შესახებ, რომ იგი არ ეთანხმება ცვლილებას, ითვლება, რომ "დამკვეთი" იღებს ახალ პირობას;

"დაცვა" მატერიალურ პასუხისმგებლობას იხსნის თუ "დამკვეთი" არ შეასრულებს „ობიექტის" მოკვლევის აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

6.4 ზიანის დადასტურებისას, „დამკვეთი" 3.2.6 პუნქტში მითითებულ თანხას იხდის 5 (ხუთ) სამუშაო დღეში.

6.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას მხარეები ცალმხრივად წყვეტენ ხელშეკრულებას, რაზედაც ვალდებულნი არიან წერილობით, ათი დღით ადრე აცნობონ ერთმანეთს გადაწყვეტილების შესახებ;

6.6 "დამკვეთის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობისას, "დაცვა" უფლებამოსილია ცალმხივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.7 სადავო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობისას, - სასამართლოს მეშვეობით;

6.8 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;

6.9 "დამკვეთის" თანხმობის შემთხვევაში, "დაცვა" უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტიდან ცენტრლურ დაკვირვების პულტზე მიღებული ინფორმაციის (გახსნის, დაკეტვის, განგაშის) მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით "დამკვეთისათვის" მიწოდებას ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე 555105110

6.10 ზემოაღნიშნული მომსახურება ერთ სატელეფონო ნომერზე უფასოა, ხოლო ყოველ მომდევნო სატელეფონო ნომერზე თვეში შეადგენს დღგ-ს ჩათვლით 1 (ერთი) ლარს;

6.11 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისას შეწყდეს 2013 წლის 21 მარტის №140 ხელშეკრულება ააიპ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დაცვის შესახებ;

6.12 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება "დამკვეთთან", ხოლო ორი - „დაცვასთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„დამკვეთი"

ააიპ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება; ს/კ 232559807. იურიდიული მის: ქ. კასპი, გიორგი სააკაძის ქ. N88.

ტელ: _____.

დირექტორი 555105110

გ. მელაძე

„დაცვა"

შიდა ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო ს/კ 211350928, მის. ქ. გორი, სუხიშვილის ქ. №26, მიმღები ბანკი_ სახელმწიფო ხაზინა; ხაზინის ერთიანი ანგარიში **№707117045** ბანკის კოდი: TRESGE22.

შიდა ქართლის რეგიონალური
დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსი

ზ. გულდამაშვილი